№ 196

კვირა, 12 სექტემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 196

კვირა, 12 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

სოფიო ვახტანგის ასული, ივანე სამსონის ძე და ნინო სამსონის ასული ბარამოვები, ნინო ფარემუზის ასული და გიორგი ვახტანგის ძე თავაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 8 სექტემბერს, პირველი—ძვირფასის ქმრისას, მეორენი—დაუვიწყარის მამისას და უკანასკნელნი—ძვირფასის სიძისას

## სამსონ მათეს ძის ბარამოვისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზედ, № 119, საკუთარს სახლში. პანაშვიდი ყოველ დღე დილით—11 საათზედ და საღამოთი—6 საათზედ. მიცვალებულის გვამს გაასვენებენ კვირას, 12 სექტემბერს, დიდუბის ეკკლესიაში, დილის 9 საათზედ. დაასაფლავებენ იქვე ეკკლესიის გალავანში. (3—146—3)

ქვრივი და ძმები გარდაცვალებულის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის

## რაჟდენ სოლომონის ძის ჯაჯანაშვილისა

აცნობებენ ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 სექტემბერს, გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკკლესიაში გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**თ. ნ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდეთა—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მსაჯი—6—7 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილის) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შმაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

**ნემენცების ბაღში**

ქართული წარმოდგენა.

კვირას, 12 სექტემბერს ქართულის სცენის მოყვარეებისაგან წარმოდგენილი იქმნება:

## ზანუმა

კომ. ოთხ-მოქმედებად ა. ცაგარლისა.

დასასრულ **ლეკური**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გარელისა, რჩეულოვისა, ქსნისპირელი, გვაზელი და სხვ. ბ-ნნი საფაროვი, კარბელი, კანდელაკი, ურუშაძე, ახარპირელი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

**გათავდება 11 საათზედ.**

ადგილების ფასი 20 კ.—1 მ. 50 კ.

გამგე საფაროვი

სამშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

**ს ა გ ა ნ გ ე ბ ო**

საზოგადო კრება

ქართველთა სასესხ-მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა".

კრებამ უნდა განიხილოს დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

(3 ნ.-2)

# ფელეტონი

## ს ი მ ღ ე რ ა

ათასჯერ მოხვედ, იავო,
მგოსანო გაზაფხულისა,
მეგონე წინამორბედი
მომავლის სიხარულისა,
მთესველი კაცთა შორისა
ძმობის და სიყვარულისა...
თვალ-დამშეული ვუცქერდი
შენს ნაზს და ტურფა ფერასა,
ვფიქრობდი, ამიყვავებდი
მინგრევ-მონგრეულ კერასა,
მაგრამ ჩემს დიდის ხნის წყლულსა
შენც ვეღარ ჰშველი ვერასა.
დღესაცა განხე მოსული
უღრანს, უდაბურს ტყეშია;
ლამაზი, ტურფად მოსული,
მადლით შემკული ფერშია,
აღარ მოგეცი სალამი,
არც აგიყვანე ხელშია;
დამლალა შავმა ფიქრებმა,
გრკალად მომხარა წელშია,
გაუღონოვდა გულიცა,
ვეღარ გაკოცე ყელშია...
ვეღარ მიძგერებთ წინანდლებრ
გულს ვერც შენ, ვეღარც ხევია,
რო მოაგორებს ლოდებსა,
მოგრგვინავს როგორც დევია,
კაცს ეგონება, ხმელეთი
დაუპყრავს, დაუძლევია,
და ფიქრით გატაცებულსა
უკან არ დაუხევია,
კლდეებ ლოდებთან ბრძოლაში
წარბიც არ შაურხევია...
გულს მითაც თქვენის ნახვითა
მაღლა ვერ აუწევია,
ვარამს უქენჯნავ გლახ გული,
კალთები ჩაუხევია...

ვაჟა-ფშაველა

## „დიპლომიანი" მუტრუკი

(ვაგონში გაგონილი საუბარი)

საღამოს მატარებელი ქუთაისისაკენ მიმაქროლებდა. ის იყო ხანგრძლივი სტვენა გაისმა და ორთქლ-მავალი ქშენითა და ქშუტუნით დაიძრა ტფილისის სადგურიდგან. მეორე კლასის ვაგონში ხალხი მილაგ-მოლაგდა. უფრო შორს მიმავალნი, პატარა დაწყნარების შემდეგ, საწოლის ზრუნვას შეუდგნენ. აიმართა მაღლა ზურგ-ბალიშები და ორ-სართულიანი საწოლები გაეწყო. მცხეთის სადგურამდე გული ისევ მიჩქროლავდა და ვერ მოვისვენე. თუმცა ხშირი სტუმარი ვარ იმერეთისა, მაგრამ ყოველთვის, როდესაც-კი მომიხდება განშორება ჩემის სამშობლო ტფილისიდგან, გული ამიტოკდ-ამიჩქროლდება ხოლმე, ასე მგონია, სამუდამოდ ვშორდები-მეთქი ტფილისის ტალახიანსა, უსწორ-მასწორო, ოკრო-ბოკრო და ბნელს ქუჩებს. რას იზამთ, ნათქვამია, ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო. რა საკვირველია, ბახალასაც რომ ყვავი მოეწონოს, და მე ხომ ტფილისის ბახალა ვარ.

გასცდა მცხეთას მატარებელი და მეც დასაბინავებელს ადგილს დავუწყე ძებნა. მივათვალ-მოვათვალიერე და ქვემო საწოლები ყველა დაჭერილი დამიხვდა. ერთად-ერთი ნაპირაზემო საწოლი დარჩენილიყო თავისუფალი და იმას მივაშურე, მით უფრო, რომ, როგორც ვთქვი, ნაპირა იყო, მატარებლის ორ-პირ სანთელს ახლო, და, მაშასადამე, წიგნის კითხვაც შემეძლო.

ავფოფხდი როგორც იყო, ბალიშში გავიმუთაქე, გადავშალე წიგნი და ისე წამოვწექი, რომ სანთლის შუქი წიგნს მისდგომოდა. არ გაიარა ორმა წუთმა, რომ ქვემოდგან ხვრინვა მომესმა, ჩემს გვერდით-კი ამ დროს ვიღამაც ერთი გულიანად ამოიოხრა, თითქოს ამ ოხვრას გულ-მუცელი თან ამოატანაო, და ზედ დაურთო:

— ვინ იცის, იქნება ასე უკეთესიც იყოს, „ზოგი ჭირი მარგებელიაო", ნათქვამია.

წიგნი იქით გადავდე და ჩემს პირდაპირ მწოლარეს გადავხედე. სახე ჩემკენა ჰქონდა, თუმცა მე არ მიყურებდა. ავხედ-დავხედე. დიდად პატივ-საცემი, მხცოვანი მოძღვარი აღმოჩნდა. თითქმის თეთრი წვერი მკერდზედ დასცემდა და სახე სიბერის ჰმუხნებითა ჰქონდა დაღარული. ამ მოხუცებასთან შედარებით ადამიანს გააოცებდა იმისი მხარ-ბეჭიანობა. მწოლარეც-კი ისეთი წარმოსადეგი, ბრგე მოსჩანდა, რომ მნახველს შეშურდებოდა მისის მკლავმაჯის სიმსხო და სიდიდე. ჩემს საწოლზედ თუ ნახევარი ადგილი დილმის მინდორსავით ცალიერი იყო, ჩემს მეზობელს სრულიად დაეფარა საწოლი და მაინც, ეტყობოდა, არ ეტეოდა, ვეშაპსავით იყო უზარმაზარად გაწოლილი.

ვიდრე ამ ჩემს უცნობს ვათვალიერებდი, არც იგი დარჩენილა უძრავად: რაღაცას ჰშფოთავდა, რამდენჯერმე გადატრიალ-გადმოტრიალდა, თავი ხან აღმა ჰქმნა, ხან დაღმა, ბოლოს, ამ კოტრიალის დროს, შემნიშნა, რომ მივჩერებოდი, და იმანაც ცქერა დამიწყო. მეტი ღონე არ იყო, უნდა დაველაპარაკებოდი.

— გეტყობათ, არ გეძინებათ მეთქი, ვუთხარი.

— ადრეაო, შვილო! მიპასუხა.

მცირე ხანს ორივენი გავჩუმდით.

— სად მიბრძანდებით? შევეკითხე, რადგან კვლავ ერთმანერთს შევცქეროდით.

— სახლში. ქალაქს ვიყავი, ბალღანა ჩავიყვანე სასწავლებელში, მაგრამ არ მიიღეს. იქნება კარგადაც მოხდა, რომ არ მიიღეს, ვინ იცისო... დაატანა კვლავ მოძღვარმა ეჰვის კილოთი.

ეხლა-კი მივხვდი მის მიერ ნათქვამ სიტყვების ფარულს აზრს: „ზოგი ჭირი მარგებელიაო", და შეუცხოვა, ვიუკადრისე.

— არა, მამაო, დიდი უბედურებაა უსწავლელობა. ხომ გაგიგონიათ, სწავლა ნათელია, უსწავლელობა-კი ბნელიო...

— სწავლა, სწავლაო!.. განიმეორა დაღრეჯვით რამდენჯერმე მოძღვარმა და მძლავრად წამოიწია. როცა საწოლზედ წამოჯდა, ისეთი ზორბა იყო, რომ ფიქრს მივეცი, თავი მატარებლის ჭერს არა ჰკრას-მეთქი. ზრდილობის დასაცველად მეც წამოვჯექი.

— სწავლაო! განიმეორა მან ეხლა კი თითქოს წყენითა და რისხვით: რა არის თქვენი სწავლა, რა, ცალიერ მოწმობისა, თუ რაღაცა ფარატინა „დიპლომის" მეტი?!. ეხლან-

# ახალი ამბავი

—

*** გენ.-ლეიტ. თავ. ამირაჯიბს 100 მან. შეუწირავს მცხეთის ტაძრის განსაახლებლად.

*** როგორც ისმის, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ტ. ს. ერმოლოვი 25 სექტემბერს ჩამოვა ტფილისში.

*** ტფილისის გუბერნატორმა წარუდგინა განსახილველად კავკასიის უმაღლესს მთავრობას ოქმი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების იმ განსაკუთრებულ კრებისა, რომელმაც გუბერნატორის თავმჯდომარეობით განიხილა შემდეგი საგანი: უფლება მიეცეს ადგილობრივ თავად-აზნაურთ შეადგინონ და დაამტკიცონ კერძო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო გარდასახადის ხარჯთ-აღრიცხვა და მისის გაწერის ნუსხა.

აღნიშნულმა კრებამ ყოველ მხრივ განიხილა ეს საგანი და დიდად სასარგებლოდა სცნო, რომ ხარჯთ-აღრიცხვისა და გაწერის სიის შედგენა-დამტკიცება მიენდოს ადგილობრივს თავად-აზნაურთ.

*** იმ კომისიამ, რომელიც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ აირჩია კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ შუამდგომლობის პროექტის შესამუშავებლად, უკვე დაამთავრა მუშაობა. მოხსენებას ამ საგნის შესახებ კომისია ამ მოკლე ხანში საზოგადოების წევრთა საერო კრებას წარუდგენს განსახილველად.

*** კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილების გამგეობას ეუწყა, რომ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ თანხმობა განაცხადა მოწვეულ იქმნას ამ შემოდგომაზედ ქ. ქუთაისში მეაბრეშუმეთა კრებაო.

*** ამ თვესა და ოქტომბერში კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი გამოიკვლევს ფილოქსერის მხრივ გორის მაზრის სოფ. არაშენდაში და ქ. გორის ახლო-მახლო მყოფ ვენახებს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენზედ გაიწია ფილოქსერამ აღმოსავლეთისაკენ გორის მაზრაში, რადგან ასეთის საზღვრის დადგენა საჭიროა ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სახმარად.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტი აგრონომი ი. ზ. ანდრონიკაშვილი გუშინ, 11 სექტემბერს, კახეთს გაემგზავრა ვენახების დასათვალიერებლად. თავ. ანდრონიკაშვილის გამგზავრებას, სხვათა შორის, კავშირი აქვს სოფ. გულგულის მცხოვრებთა იმ შუამდგომლობასთან, რომ მთავრობამ იმათ სესხი მისცეს ღვინისათვის დიდის სასოფლო სარდაფის გასამართავად.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ სთხოვა თავად აზნაურთა წინამძღოლებსა და მაზრის უფროსებს ურჩიონ მცხოვრებთ სასოფლო საავადმყოფოების გახსნა იმ პირობით, რომ ხარჯებში მონაწილეობა მიიღონ თავად-აზნაურობამაც.

*** 22 სექტემბერს ტფილისის საბაღოსნო სკოლაში დაიწყება სწავლის დასამთავრებელი ეგზამენები. წელს ამ სკოლაში სწავლას ამთავრებს 14 მოსწავლე, 11 ოქტომბერს სკოლაში მისაღები ეგზამენები დაიწყება. სასწავლებელში შესვლის მსურველთა რიცხვი ორჯელ აღემატება თავისუფალ ადგილთა რიცხვს.

*** 10 სექტემბერს, ღამით, „როსიის“ სასტუმროში თავი მოიკლა თავ. ვარდენ წერეთელმა.

*** კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა იმ საგნების პროგრამმა, რომელნიც უნდა წარუდგინოს განსახილველად სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრებას.

*** ორშაბათს, 13 სექტემბერს, აღარ მოხდება ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა.

*** წელს კავკასიაში ბამბის მოსავალი შარშანდელზედ ცოტად ნაკლებია. სხვათა შორის, ვერაფერ სანატრელ მდგომარეობაშია ბამბა ქუთაისის გუბერნიაში. შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში ბამბა, როგორც სხვა ჰირნახულიც, დაზიანდა ძლიერის გვალვისაგან; გუბერნიის სხვა ადგილებში-კი ბამბის მოსავალს გაცილებით უფრო სანუგეშო პირი უჩანს.

*** ქალაქის საქიმიო ლაბორატორია შეუდგა იმ ხელოვნურ მადნეულ წყლებისა, ლუდისა, კვასისა და ღვინის გამოკვლევას, რომლებიც ტფილისში ისყიდება. ამ გამოკვლევას ლაბორატორია იმის გამოსარკვევად შესდგომია, თუ როგორ მზადდება დღეს სხვა და სხვა გვარი სასმელები.

*** ქალაქის დასასუფთავებლად გამგეობამ 9 სექტემბერს დაადგინა: საბჭოს ორი მკურნალი გაგზავნილ იქმნას ქალაქის სხვა და სხვა ადგილის დასათვალიერებლად სანიტარულის მხრივ; შედგენილ იქმნას მტკვრის ნაპირებისა, კუნძულებისა და მოედნების დასუფთავების ხარჯთ აღრიცხვა. შემუშავებულ იქმნას ქალაქის ეტლის გამართვის საქმე; ნება მიეცეთ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ უფასოდ ისარგებლონ ქალაქის ეტლით და სხ.

*** „ახ. მიმ.“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ დამტკიცებულ იქმნა თიონეთის მაზრაზედ კახეთის რკინის გზის გაყვანის პროექტი. მალე შეუდგებიან გზის გაყვანასაო.

*** იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, რომ დამტკიცებულია ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წესდებაო.

*** „ახ. მიმ.“-ს ოზურგეთიდგან აუწყებენ, რომ ადგილობრივ მემამულეთა, ქალაქის თვით-მმართველობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც მოხდა იქ მეაბრეშუმეობისა და ბაღეულობის გამოფენის დროს, ერთხმად დაადგინა სთხოვოს კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებას შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელთან არსებული სამეურნეო განყოფილება გადაკეთებულ იქმნას დამოუკიდებელ საბაღოსნო სკოლად.

*** „ტფ. ფ.“ ს პეტერბურგიდგან აუწყებენ, რომ ხიზანთა შესახების დებულების შეცვლის პროექტი წარედგინა განსახილველად სახელმწიფო საბჭოს და განხილულ იქმნება ამ საბჭოს მიერ შემოდგომაზედ.

*** თელავი. 23 სექტემბერს წარმოდგენის გამართვას აპირებენ აქ ს. ყვარელში წყლით დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოადგენენ გოგოლის ცნობილს პიესას „რევიზორს“. ხლესტაკოვის როლს ითამაშებს ბ-ნი აწყურელი და გოროდნიჩისას ვ. გამყრელიძე. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ეს წარმოდგენა ძლიერ კარგად ჩაივლის, რადგან წარმოდგენის მოთავენი ეხლავე შეუდგნენ სამზადისს.

## წერილი გორიდან.

—

„გორო, ქართლის მეთაურო“.. ისეთი რა დაგემართა, რომ მეთაურობა კი არა, ქართლის ცხოვრების ბოლოში მიყოლაც აღარ შეგიძლიან? ნუ თუ ეხლანდელი ცხოვრების ტალღები არ მოგწვდა და არ შეგირყია მიძინებული ძარღვები? ბევრი ამგვარი ფიქრი მებადება თავში, როდესაც დავუფიქრდები ხოლმე გორის ეხლანდელ მდგომარეობას, მაგრამ გადაჭრილ პასუხს ამ კითხვებზედ ვერ ვპოულობ. სძინავს გორს და მასთან გორელებსაც. აქ არ არსებობს საზოგადო საქმე, საზოგადო კითხვა, საზოგადო ინტერესი. ყველას მარტო თავისი თავი აინტერესებს და ყველა ერთის აზრით არის გამსჭვალული. რა არის ეს გორელების საერთო აზრი? ეს აზრი გამოითქმის ერთის ფრიად მოკლე სიტყვით: „მე“. თუ რამე დაემატება ამ მოკლე სიტყვას, მხოლოდ იმისთვის, რომ მას უფრო მტკიცე და ძლიერი მნიშვნელობა მისცენ, უფრო გარკვევით გამოსთქვან „მე“-ში მოთავსებული აზრი. ოღონდ „მე“ ნუ დამაკლდება-რა და თუნდ ქვეყანაც მოსპობილაო, გაიძახის აქაური ფილოსოფოსი... გორის მაზრის მრავალი სოფელი გაანადგურა სეტყვამ და ულუკმა-პუროდ დაჰყარა აუარებელი ხალხი. გორელთან რომ ლაპარაკი ჩამოაგდო ამ საგნის შესახებ, ასე გეტყვის: მე რა!? მე ხომ არა ვარ დამნაშავეო? ყველამ თავისთვის იზრუნოსო! აქაური ვაჭარი, როგორც ყველგან, მხოლოდ თავისს სარგებლობის თვალით უცქერის ყველაფერს და წრევანდელი სეტყვაც მას იმდენათ აინტერესებს, რამდენადაც ამ სეტყვამ ვაჭრობა დასცა. არც აქაურ ინტელიგენციას აწუხებს სოფლების დამშევა; იმათ რა საქმე აქვთ სოფლებთან? ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად და რას ადარდებთ ხალხის დამშევა. „ოცი“ ხომ ყოველს თვეში არის და, მაშასადამე, იმისთვის სეტყვას რა მნიშვნელობა აქვს. გარეშე ადგილებში ამოიღეს ხმა გორის მაზრის დამშეულ სოფლების დასახმარებლად და აქ-კი ყურსაც არავინ იბერტყავს. აბასთუმანში ორას თუმნამდე შეაგროვეს დასეტყვილთა სასარგებლოდ, ქუთაისის ბულვარდზედ ქალები აგროვებენ თითო-ოროლა გროშს უნუგეშოდ დარჩენილ ხალხისათვის,

---

დელსა და წარსულს დროს შორის ის განსხვავებაა, რომ უწინ „უდიპლომოდ“ ნასწავლი და შეგნებული ბევრი იყო და ეხლა ბევრია „დიპლომიანი“ უსწავლელი და უგნური. ვიცი, მაგ თქვენის სწავლის ფასი რაც არის. ხუთი შვილი მყავს, შვილო, მოვხუცდი, პატარა აღარა ვარ, მაგრამ მაგ თქვენმა სწავლამ უფრო დამაბერა...

ამ სიტყვებმა ცნობის-მოყვარეობა აღმიძრა. მინდოდა საფსებით შემეტყო, რად იყო ეს პატივცემული მოძღვარი ასე უმადური „ჩვენის სწავლისა“, როგორც იგი ამბობდა. ამასთან ვიცოდი მოხუცებულთა ხასიათი, რომ რაკი დაიწყებენ, უთხოვნელად დაასრულებენ ხოლმე თავისს გულის ვარამს, და გავუჩუმდი, სმენად და ცქერად გარდავიქეცი. მართლაც, ასე განაგრძო ჩემმა მოსაუბრემ:

— ერთი შვილიც გამოვზარდე. უკანასკნელი დავიკელ და იმას ვანაცვალე. ოცი წელიწადი ველოდდი, აცა, აღდგომა მეც გამითენდება-მეთქი. დავასრულებინე სასულიერო სასწავლებელი, სემინარია, აკადემია... თქვენ, ახალგაზდებს, ხუმრობა ნუ გგონიათ შვილის სწავლება. ყოველ წელიწადს, როდესაც ერთის კლასიდგან მეორეში უნდა გადასულიყო, ხარჯს ვიღა სჩივის, გული შიშით მიკანკალებდა. ამ კანკალ-ცახცახში გავატარე თხუთმეტ-თექვსმეტი წელიწადი. სასულიერო სასწავლებელი რომ გაათავა, ცას დავეწიე; სემინარია რომ დაამთავრა, ცა ქუდად აღარ მიმაჩნდა, დედამიწა—ქალამნად; აკადემიიდგან მისის დაბრუნების ამბავი რომ მომივიდა, ასე მეგონა ოცის წლის ჭაბუკი შევიქენი-მეთქი. დიაღ, ისწავლა, აკადემიკოსია, მასწავლებლის ადგილი მისცეს, კარგს ჯამაგირს იღებს, შუბლს უშველებელი „კაკარდა“ უმშვენებს, ჯან-საღია, ჩქმსავით ბრგე და წარმოსადეგი, თვალთ არ აკლია და ხელ ფეხთ, მაგრამ მაინც რა გამოვიდა?..

— რა გამოვიდა-მეთქი? შევეკითხე ახლა-კი გაოცებულმა.

— რა და... მუტრუკი! მომიჭრა მოკლედ სიტყვა.

— როგორ თუ მუტრუკი?.. გავიოცე, მაგრამ მოძღვარმა ყური არ მიგდო და თავისი განაგრძო:

— სწავლა ის კი არ არის, რომ „დიპლომი“ გედოს ჯიბეში. „დიპლომსა“ და განათლებულ ადამიანობას შუა დიდი ზღვარი სდევს. თუ „დიპლომი“ გაქვს და ამასთან უზრდელი ხარ, არ იცი სად როგორ მოიქცე, ვის როგორ მოეპყრო, დიდსა და მცირეს არ არჩევ, შენზედ უფროსის პატივისცემა არ მოგეძევება; თუ ბრიყვი ხარ, მოუხეშავი, ხეპრე, არაფრის გონი და აზრი არა გაქვს, თავი გაბია და შიგ ტვინის ნატამალი არ გიჩანს, უგუნური ხარ და ყოველსავე ნიჭს მოკლებული, თუნდა ათასი „დიპლომიც“ გქონდეს და ორი ათასი აკადემიაც დაგემთავრებინოს, მაინც მუტრუკი ხარ და მუტრუკი!... ჩვენთა მამა-პაპათა დროს „დიპლომი“ არ იყო, მაგრამ ზრდილნი-კი ბევრნი იყვნენ. ჩვენმა ბრძენმა რუსთველმაც-კი სთქვა, რომ „ათასად გვარი დაფასდა, ორი ათასად ზრდილობაო!“ აი, სწორედ ეს ზრდილობა აკლიათ ეხლანდელ „დიპლომიან“ ნასწავლებს. სწავლულნი არიან „დიპლომით“ და განათლებულნი, ზრდილნი-კი არა. ქართული ოჯახი დაქვეითდა, სასწავლებელმა ბავშვი ოჯახს ხელიდგან გამოაცალა, მაგრამ მისი მაგიერობა ვერ გაუწია. ეჰ, ეხლანდელი სწავლა გახვრეტილ გროშად არა ჰღირსო!.. დაატანა მოძღვარმა, უნუგეშობის ნიშნად ხელი ჩაიქნია და მცირეოდენს ხანს გაჩუმდა, მაგრამ სული რომ მოითქვა, ისევე განაგრძო ჩემდა სასიხარულოდ, რადგან იმისის სიტყვებით კბილ-მოჭრილს არ ვიცოდი რა მეთქვა.

— სწავლა ის-კი არ არის, რომ მართლ-წერა ვიცოდე, დარწმუნებული ვიყო, რომ დედამიწა ბურთსავით მრგვალია და რომ ექვსჯერ ექვსი ოც და-თექვსმეტიაო, არამედ ის, რომ ადამიანს, მისის ბუნების შესაფერისად, სხეულთან ერთად, განვითარებული ჰქონდეს გონებრივი, ესტეტიური და ზნეობრივი ნიჭი. თუ ადამიანი ზნეობრივად მახინჯია, თუ გონებრივად ბრმაა, ის მუტრუკია, თუ გინდა, „დიპლომიანი“ მუტრუკი, და არა განათლებული და ნასწავლი, ზრდილი არსება. ეხლანდელმა სასწავლებლებმა-კი ასეთი მუტრუკები გაამრავლა.

— სასწავლებელს რა ბრალი აქვს-მეთქი? ველარ მოვითმინე: ალბად თქვენს შვილს ბუნებითვე ნიჭი არა ჰქონია. რაც შეეხება აღზრდას, ეგ ოჯახის მოვალეობაა და არა სასწავლებლისა.

— ოჯახის მოვალეობა არ გახლავთ, ან თუნდა იყოს, რა ვქნათ, რომ ოჯახი აღარა გვაქვს. ძველებური ოჯახი დაგვექცა და ახალი ჯერ ვერ შეგვიქმნია, ლორ-ხბოსავით შერეულები ვართ. განა აღზრდა ბავშვისა იმავე პედაგოგიის დარგი არ არის?!. შვილს რომ მართმევს სასწავლებელი, მოვალეა აღმიზარდოს კიდეც, გამიადამიანოს, განმისპეტაკოს ყოველ იმ ჭუჭყისაგან, რაც უსწავლელობის, გაუნათლებლობის, გაუზრდელობის ხვედრია. „ბუნებითვე ნიჭი არა ჰქონიაო“! მეც მაგას ვამბობ, რომ ნიჭი არა ჰქონია და მაინც ოცს წელიწადს ინახავ, კლასიდგან კლასში გადაგყავს, მდაბალ სასწავლებლიდგან მაღალსა და უმაღლესში, „დიპლომს“ აჩეჩებ და ბოლოს ისეთსავე მუტრუკს მიბრუნებ, როგორიც მე ჩაგაბარე. სასწავლებლის მოვალეობაა, ბავშვს უნიჭობა გაუგოს, მიუხვდეს, რომ იმას განათლებულობა არ შეეძინება, რაც უნდა ბევრი ურაკუნოს და ურახუნოს თავში, ერთ-ორ წელიწადს საყველპურო წერა-კითხვა უნდა ასწავლოს და გამოისტუმროს. დიდი სწავლა ნიჭიერს უნდა დაეთმოს, თორემ უტვინოსა და უნიჭოს, რაც უნდა „დიპლომი“ მიაჩეჩოთ ხელში, მაინც უტვინო იქნება, მაინც უნიჭო. ნიჭი, მოგეხსენებათ, ზეგარდმო მადლია და ამ მადლს ვერც აკადემია და ვერც უნივერსიტეტი ტაბლასავით ვერ დაარიგებს.

— მართალსა ჰბრძანებთ, მაგრამ სასწავლებელმა როგორ გაუგოს უნიჭოს უნიჭობა და ნიჭიერს ნიჭიერობა?

— უნდა გაუგოს. ნათქვამია, ღმე-

და აქ კი, ამ ქართლის შუა ქალაქში, ფიქრადაც არავის მოსდის ამისათვის ზრუნვა.

ან კი რა საკვირველია, რომ გორელებმა თავი არ შეიწუხონ ამისთანა უბრალო საქმისთვის? აქ თავიანთ საკუთარ საქმეებსაც ვერ ართმევენ თავს და სხვისთვის სად სცალიანთ!. აი თუნდ ქალაქის მამასახლისის არჩევანი ავილოთ. როგორც იყო, ამ თვე ნახევრის წინ შეიკრიბნენ გორელები ხმოსნების ასარჩევად, შეიკრიბნენ და ერთმანეთი აირჩიეს ხმოსნებად. ერთმანეთი აირჩიეს მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ კრებაზედ ცოტა იმაზედ მეტი ხალხი გამოცხადდა, რამდენი ხმოსანიც უნდა აერჩიათ, და, რასაკვირველია, ყველამ ერთმანეთს თეთრი კენჭი მისთავაზა. ასე იყო, თუ ისე, აირჩიეს თხუთმეტი ხმოსანი და წარადგინეს გუბერნატორთან დასამტკიცებლად. მას შემდეგ ყველა მამასახლისის არჩევანის გამო ჰფიქრობს. არ იფიქროთ, რომ მამასახლისის არჩევა გორელებს აინტერესებდეს როგორც საზოგადო საქმე. სრულიადაც არა. აქ ისევ „მე“ არის დაყენებული ყველაზედ წინ და „მე“ ისეთი მცნება არის გორელებისათვის, რომ მას აქ ძნელად თუ ვინმე უღალატებს. საქმე ის არის, რომ მამასახლისს თვეში ათი თუმანი აქვს ჯამაგირი და აი სწორედ ამისათვის არის გორელების ყურადღება მიქცეული ამ ჯამაგირიან ადგილისაკენ. თუთხმეტივე ხმოსანს რომ შეეძლოს თითო ამგვარი ჯამაგირიანი ადგილის ჩაგდება ხელში, საქმე ადვილად გათავდებოდა: აირჩევდნენ ერთმანეთს, და საქმეც დაბოლავდებოდა, მაგრამ ადგილი ერთია და სადერდელი-კი ბევრსა აქვს აშლილი. აქ ფულის საქმეა და ფულს ხომ ბევრი ჰყავს თაყვანის მცემელი! თხუთმეტს ხმოსანში ყველას უნდა მამასახლისობა, ყველა ოცნებობს ას-ოც თუმნიან წლიურ ჯამაგირზედ და აი ამისათვის იმართება აქ ბრძოლა, ბრძოლა დამყარებული „კუჭი“-ს მცნებაზედ. ვისაც მეტი თეთრი კენჭი მოუვა, მისი კუჭი ჩავარდება განცხრომაში, ქალაქი და მისი მცხოვრებლების ინტერესები სულ უკანასკნელ ადგილს იჭერს კუჭის განცხრომის ისტორიაში.

მიძინებულ გორელების ყურადღება ამ ჟამად ერთმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გარემოებამ მიიქცია თავისაკენ. ღამდება თუ არა, „სამეფო ქუჩის“ ერთი ადგილი ივსება ხალხით: დიდი, პატარა, მოხუცი, გათხოვილი და გასათხოვარი აქ იყრის თავს. რას გამოუყვანია გორელები ამ ქუჩაზედ? რა გახდომიათ სალაპარაკოდ? აქ, ამ სამეფო ქუჩაზედ, თავისის სახლის წინ დაუდგამს თავ. ივ. გივ. ძე ამილახვარს ელექტრონის ფარანი და, აი, დაღამდება თუ არა, ამ ფარნის გარშემო ხალხი სულ ბუზივით ირევა. ბნელ ქუჩებში სიარულს დაჩვეული გორელები საშინლად გაახარა ამ ფარანმა და ყველა სხვა-და-სხვანაირ ოცნებას ეძლევა ამ ფარნის დანახვაზედ. აგერ გასათხოვარი ქალი დამდგარა და ოცნებობს: „ნეტავი ისეთმა კაცმა შემირთოს, რომ ასეთი ფარანი ედგას სახლის წინაო“ და თანაც საშინელი ოხვრა მოსდევს მის ნატვრას, ალბად თითონვე მიხვდა, რომ მისი ნატვრა უნიადაგოა. მამაკაცებიც ხმა მაღლა ჰნატრობენ თავიანთ საყვარელ გორის ბნელ ქუჩების ელექტრონით გაჩაღებას, მაგრამ იმათს ნატვრასაც მწუხარე ოხვრა მოსდევს თან, რადგან იქვე, ახლოს, ოდნავ მბჟუტავი ნავთის ფარანი აგონებს, რომ ჯერ გორისათვის რიგიანად ნავთით განათების დროც არ დამდგარა, არამც თუ ელექტრონის სინათლე ინატრონ.

ს. რ.

# რუსეთი

პროფესორი პელი ამზადებს პროექტს პეტერბურგში საფარმაცევტო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ეს პროექტი განხილულ იქმნება მოსკოვში, 1900 წლის იანვარში, სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრებაზედ.

— ფინანსთა სამინისტროს მიუვიდა რუსეთის ნავთის მწარმოებელთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მათ გრძელ-ვადიანი სესხი მიეცეთ საზღვარ-გარეთ ნავთის გასაზიდ ნავებისა და გემების გასამართავად.

— „მოსკ. უწყ.“-ს ბერდიანსკიდგან აუწყებენ, რომ მაზრაში აღმოჩნდა ნავთი. გლეხებს ძალიან იაფად გაუციათ იჯარით ნავთის ადგილები, მაგრამ ერობის უფროსს არ დაუმტკიცებია ხელშეკრულება.

— „ს.-პ. ვედ.“-ის სიტყვით, ამ მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია შემწეობა მისცეს ახლად დაარსებულ და დასაარსებელ სამეურნეო სკოლებს. ამ ჟამად სამინისტრო დახმარებას უწევს 75 ასეთ სკოლას.

— ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს დაავალოს ღვინის ვაჭრებს, რომ ბოთლებზედ, რომლებშიც ნამდვილი ღვინო აქვთ, აღნიშნონ ღვინის სახელი პრეისკურანტის მიხედვით და შემდეგი სიტყვები: „ნამდვილი ყურძნის ღვინო“, ხოლო იმ ბოთლებზედ, რომლებშიაც ხელოვნურად ნაკეთები ღვინო ინახება, აღნიშნონ მხოლოდ სახელი და იმ ქარხნის ადგილი, რომელშიაც ეს ღვინოა მომზადებული.

# უცხოეთი

**ინგლისი და ტრანსვაალი.** ომის მოლოდინის გამო ინგლისი აძლიერებს თავისს ჯარებს სამხრეთ აფრიკაში. ინგლისის მხედრობა 20,000 კაცისაგან შესდგება ამ ჟამად იქ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ბოერებთან საბრძოლველად. ამის გამო ინგლისი ამ დღეებში აგზავნის კიდევ 5000 კაცს გაგზავნას ინდოეთიდგან.

ინგლისელებს დიდი იმედი აქვთ თავიანთ არტილერიისა და ჭკუისათ თურმე, რომ ბოერები ვერ მოიხმარებენ იმ ზარბაზნებს, რომლებიც აქვთო. ინგლისელების აფიცრები ფიქრობენ, რომ პირველ იერიშით გავანადგურებთ ტრანსვაალის ჯარსო, რადგან ჩვენი მხედრობა ბევრად უძლიერესია იმათზედო. რამდენად გამართლდება ამათი აზრი, ამას მომავალი გამოაჩენს, თუ მართლა ომი ასტყდა ამ ორ სახელმწიფოს შორის.

რაც შეეხება ბოერებს, როგორც ფიქრობენ საქმის მცოდნე კაცები, ისინი თავიანთ ჩვეულებას არ უღალატებენ ომის დროს. ისინი ეცდებიან გაისტუმრონ მტრებს და გზები მოუჭრან. ბოერები სამაგალითო მსროლელები არიან და ამასთანავე დინჯი ხალხი. თავიანთი ქვეყნის გზები ყველგან რომ ზედ-მიწევნით იციან, ესეც რამდენიმედ უპირატესობას ანიჭებს მათ. გარდა ამისა ორანჟის რესპუბლიკის მოქალაქეთ დაუდგენიათ კრებაზედ, რომ თუ ომი ასტყდა ინგლისსა და ტრანსვაალს შორის, უკანასკნელებთან ერთად ვიბრძოლებთო.

— ტრანსვაალთან ომი ძლიერ აზარალებს ინგლისს ქონებრივადაო, — ამბობენ გაზეთები. მთა-მადნების მუშები თვიურად 3 გირ. სტერლინგზე მეტს ვერ იღებენ თურმე ინგლისში მაშინ, როდესაც იგივე მუშები ტრანსვაალში იღებენ 20 გირ. სტერლინგს. უნდა ვიცოდეთ, რომ ტრანსვაალში ძლიერ ბევრი ინგლისელი მუშაა მთა-მადნებისა. ესენი ომის მოლოდინის გამო სამშობლოში ბრუნდებიან ეხლა, სადაც მუშაობაში ეცილებიან ადგილობრივ მუშებს და ამით სამუშაო ქირას ამცირებენ. იმაზედ ხომ ლაპარაკიც მეტია, რომ ინგლის-ტრანსვაალის უთანხმოება თუ დროით არ მოისპო, ასეთი ცილობა მუშებისა ერთმანეთთან და სამუშაო ქირის დაკლება თანდათან იმატებს. როცა ტრანსვაალში იყვნენ ინგლისელი მუშები, მაშინ, გარდა იმისა, რომ თავიანთ თანამემამულე მუშებს არ ეცილებოდნენ მუშაობაში, ფულსაც უგზავნიდნენ შინ მშობელთ და ნათესავთ. მაგალითად, კუმბერლენდის ერთი სოფელი — მილიონი უოკელ გირა 100 გირვანქა სტერლინგს ღებულობდა თურმე ტრანსვაალში სამუშაოდ გადახვეწილ თავიანთ შვილებისაგან.

—

**ოსმალეთი.** სომხეთა პატრიარქს მიურთმევია ხონთქრისათვის არზა, რომელშიაც ჩამოთვლილია, რასაც ითხოვენ სომხები ოსმალეთის მთავრობისაგან. პირველად მოხსენებული უოფილა არზაში, რომ მთავრობამ გადასდოს ფულებით ეკკლესიებისა და სკოლების განსაახლებლად, რომლებიც დანგრეულ იქმნა სომხეთა ჟლეტის დროსაო. შემდეგ პატრიარქი თხოულობს ნებართვას ახალ თავშესაფარის დაარსებას კონსტანტინეპოლში, ბეჭდურთების წესრიგის შეცვლას სომხების შესახებ, რადგან არსებული წეს-რიგი მეტად ავიწროებს ოსმალეთში მოგზაურ სომხებს, სასჯელის მიტევებას იმ სომხებისათვის, რომელნიც საპყრობილეში სხედან 1896 წლიდგან, და პოლიციის მინისტრისათვის აკრძალვას, რომ თავისი სურვილისამებრ ნება აღარ ჰქონდეს სომხების დატუსაღებისა. თავისა არზის ბოლოს პატრიარქი ამბობს თურმე, როგორც გაზეთები იუწყებიან, რომ თუ ეს თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქმნა, მეც და მთელი სინოდიც იძულებული ვიქნებით სამსახურიდგან გადავდგეთო, რადგან ხალხის თვალში ამის შემდეგ ნდობა აღარ გვექნება და ვერც პასუხის მგებლობას ვიკისრებთ, ვინიცობაა, ცუდი შედეგი რომ მოჰყვეს ამ შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობასაო.

## დამავიწყდა

დედაკაცის სიყვარული უფრო საშიშია, ვიდრე მამაკაცის სიძულვილი.

სოკრატი

* * *

პატიება გულ-გრილობის ნიშანია;
ვინც უყვართ, იმას არც აპატიებენ.

კარმენ სილვა.

* * *

---

...რთი მთას დაჰხედავს და თოვლს ისე დასდებსო. მკურნალი იმის მკურნალია, რომ სატკივარს ჯერ მაჯას გაუსინჯავს, ფონს მოუნახავს და საწამლებლად ხელს ისე მოჰკიდებს. ვერ გაუგებს და ის მოხდება, რასაც დღეს მოვესწარით. ხშირად „უდიპლომო“, სოფლის სასწავლებელში გამოზრდილი, გონებით, ნიჭით, განვითარებით, მიხვედრილობით რამდენისამე ფარდით აღემატება „დიპლომიანს“ მუტრუკს. აი, ამ მუტრუკის უმაღლესი სწავლა იმ ნიჭიერისათვის უნდა შეეძინებინათ და მუტრუკს-კი ის ორის კლასის ცოდნა ჰყმაროდა, რადგან მაშინაც ის მუტრუკი იქნებოდა, რაც ეხლა მუტრუკია, მხოლოდ „დიპლომი“ აკლდებოდა, და ცალიერს „დიპლომში“ აბა რა ჰყრია?!.. ნიჭიერთა სწავლით ქვეყანას სიკეთე და მადლი შეეძინებოდა და, ამას გარდა, აღარ ვიქნებოდით უნიჭო, უგუნურ და უტვინო „დიპლომიანების“, აკადემიასა და უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულების, მნახველი. უნიჭობასა და უგუნურობას ვინა სჩივის, ხშირად ცოდნაც არ მოეპოვებათ, უგერგილონი არიან, ყოვლად უვიცნი და, ქვეყნის სამწუხაროდ, „დიპლომის“ წყალობით ჯამაგირთან ადგილებსაც ჰშოულობენ. ვინ მოსთვლის, ამას რამდენი ცოდვა და ბოროტი მოსდევს.

— კარგსა ჰბრძანებთ, მაგრამ, რას იზამთ, როდესაც ნიჭიერი ღარიბია და უნიჭო — შეძლებულის დედ-მამის შვილი. ღარიბს ნიჭიერს უმაღლესს სწავლას ვინ აღირსებს და უნიჭო-კი ფულის წყალობით ყველგან ფონს გავა.

— მაგისათვის სასწავლებელმა იზრუნოსო, მომიჭრა სიტყვა მოძღვარმა: შეძლებულს, რაკი უნიჭობის კბილს გაუსინჯავს, ერთი ორად და ერთი სამად დააკისროს სწავლის ფასი. დეე, გარდაიხადოს იმისმა პატრონმა ფული, ტყავი გაიძროს, თუ მაინცა და მაინც ახირებულა და „დიპლომიანი“ მუტრუკი უნდა. ამ გარდამეტებულ ფულით-კი სასწავლებელმა ერთ მუტრუკთან ორი ნიჭიერი ღარიბი გამოჰზარდოს, „დიპლომის“ შეძენისათვის ახირებულ მუტრუკის ხარჯით, რასაკვირველია, და ყოველივე საშუალება მისცეს ნიჭის გაფართოებისა, რომ შემდეგ იგი თავისს სამშობლოს გამოადგეს. მუტრუკის მშობლები, რაკი მიხვდებიან თავისის შვილის უვარგისობას, ბუნებითვე სულიერს სიმახინჯეს, — ცოტაოდენს სწავლას აკმარებენ და, თუ ახირდებიან, ახირდნენ, მაშინ, ჩემ მიერ აღნიშნულ წეს-რიგის წყალობით, იძულებულნი იქმნებიან თავიანთ მუტრუკთან ორი სხვისი ნიჭიერი ბავშვი გამოზარდონ. ეს გარეგნად ცოტა უსამართლობად ეჩვენება ადამიანს, მაგრამ განა ის-კი სამართლიანობაა, რომ „დიპლომიან“ მუტრუკს, ჩამოვა თუ არა, ყველგან გზა ხსნილი აქვს და ნიჭიერს მოხელეს, მასწავლებელს, თუ სხვა საქმის მოწამმართეს „უდიპლომობის“ წყალობით რიგიანს ჯამაგირსა და ადგილს არასოდეს აღირსებენ ხოლმე; მცირე ჯამაგირითა და მცირე ადგილით აღონღიალებენ თავისს სიცოცხლეს, თუმცა, რომ დააკვირდე, იმ მუტრუკზედ ცოდნაც მეტი აქვს, უნარიცა, ხერხიცა, ზრდილობაცა და განვითარებული და განათლებულიც არის.

— ოღონდაც რომ ეგეც უსამართლობაა!..

— ჰო-და, აი, ამ უსამართლობას ეხლა ჩვენში ფართოდ აქვს ასპარეზი გაშლილი. სხვა ქვეყნებში უკვე მიხვდნენ „დიპლომიანობის“ სიკეთეს, „დიპლომის“-მქონებლობა ნიჭს შეუწონეს და ადამიანი მისის ნიჭ-უნარლირსებისა და ცოდნა-გაგებულობის კვალად დააფასეს. ავ-კარგის საზომადა და საწყაოდ იმას აღარა ჰხმარობენ, რომ ამასა თუ იმას „დიპლომი“ აქვს და, მაშასადამე, კარგია, ყოვლად უნაკლოა, ზემო თაროს ის უნდა წამოვასკუპოთო. ჩვენში-კი ბურთი და მოედანი „დიპლომიან“ მუტრუკებს დარჩენიათ. აი, თუნდა ჩემი შვილი ვთქვათ: შვილია ჩემი, ჩემი სისხლი და ხორცი, მაგრამ ცოდვა გამჟღავნებული სჯობია. როგორც გითხარი, აკადემიკოსია, მასწავლებლად დაჰნიშნეს, „კაკარდით“ შეუმკია თავი, მაგრამ ხალხში რომ გამოჩნდება, მრცხვენიან, საბოდიშოდ ვამიხდება ხოლმე საქმე. ისეთს სისულელეს წამოჰროშავს, ისეთს უხამსობას რასმეს ჩაიდენს, ისეთს უზრდელობას გამოაკვეხებს, ისე ადვილად აგრძნობინებს ხალხს, რომ ბრიყვი ვარ, უტვინო, უნიჭო და უცოდინარიო, რომ მეც-კი, გაუნათლებელს მღვდელს, მეთაკილება, მრცხვენიან... თუ ის, „დიპლომის“ წყალობით გამასწავლებლებული, ასეთია, ვიკითხავ ახლა, რა უნდა ასწავლოს თავისს მოსწავლეებს?.. მერე რამდენია „უდიპლომო“ მასწავლებელი, რომელიც ნიჭიერია, საუცხოვოდ ასწავლის ბავშვებს და მაინც, „უდიპლომობის“ წყალობით, მიყრუებულს სოფელში სადმე ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰლევს თავისს ღონესა და სიცოცხლეს!.. „დიპლომი“?.. რა არის „დიპლომი“? სახელი და არა სახრავი. რა შეჰმატეს ჩემს შვილს „დიპლომით“?.. ჩოჩორი გამიმუტრუკეს და ახლა „დიპლომიანი“ ვი...

აქ-კი, არ ვიცი სირცხვილისა, თუ იმის გამო, რომ მატარებელი გორის სადგურს მიახლოვდა, რის ნიშნადაც სტვენა მოგვესმა, — ჩემი ფილოსოფოსი მოძღვარი საწოლიდგან ძირს ჩამოვიდა, ზედა ანაფორა გადაიცვა, საჩქაროდ მოჰხვია თავისს ხურჯინს ხელი, ერთი „მშვიდობითო“ დაიძახა და გავიდა მატარებლიდგან. სამწუხაროდ, არც-კი გამომცნაურებია. სკრამდე ველოდი, იქმნება კიდევ გამოჩნდეს-მეთქი, მაგრამ აღარსად იყო.

მისმა გულ-უბრყვილო საუბარმა ათასი ფიქრი ამიშალა და აღარ დამძინებია. გამახსენდა ჩემი ნაცნობი „დიპლომიანი“ მუტრუკები და სამართლიანმა გრძნობამ უკმაყოფილებისამ დრტვინვით ამივსო გული. ბევრი მართალი სთქვა ჩემმა ანაფორიანმა ფილოსოფოსმა, მაგრამ განა იგივე ორის სიტყვით არ გამოჰხატა ჩვენმა პოეტმა:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას“-აო...

განა...

მაგრამ აგერ ქუთაისიც!..

ჩიორა

იყავ მხნე, ვითარცა თამარი, მედგარი, ვითარცა წმიდა ნინო, ქველი, ვითარცა ფარსმან-ქველი, ახოვანი, ვითარცა ვახტანგ გორგასალი, თავმდაბალი და უძლეველი, ვითარცა თორნიკ ერისთავი, მწიგნობარი, ვითარცა ეფთვიმე მთაწმიდელი, უშიშარი, ვითარცა წმიდა აბო და შუშანიკ დედოფალი, ბრძენი, ვითარცა შოთა რუსთაველი, უმანკო, ვითარცა შატბერდის მამა იოვანე ბერაჲ, მშვიდი, ვითარცა მიქელ მოდრეკილი, წყნარი და გონიერი, ვითარცა დავით აღმაშენებელი, მოსიგრე, ვითარცა თამარის მამა გიორგი, შვენიერი, ვითარცა აშოტ კისკასი.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მეტად სამწუხარო ისტორიას მოგვითხრობს ერთი რუსული გაზეთი. ამ გაზეთის სიტყვით, ამას წინად ჩირსკის სტანიცაში მოსულა ერთი კაცი გვარად ბოარინოვი. ამ კაცს სოფელ-სოფელ გველები დაჰყვანდა თურმე, ხალხს აჩვენებდა და ამით აღებულის ფულით თავს ირჩენდა. ჩირსკშიაც ერთ სახლში ჩამომხდარა თავისს გველებით და გამოუცხადებია, მსურველთ საკვირველ გველებს ვაჩვენებო. სხვათა შორის განცხადებაში ბატონი ბოიარინოვი იმასაც ამბობდა, რომ ცოცხალ გველებს ტანზედ შემოვიხვევ და ერთის თავს პირშიაც ჩავიდებო. დანიშნულ დღეს აუარებელი ხალხი შეკრებილა „წარმოდგენის“ საყურებლად. ბოიარინოვს მართლაც ყველანი გაუკვირვებია თავისს გველებით. ბოლოს ამოუყვანია ყუთიდგან ერთი პატარა, ექვსის გოჯის სიგრძე, შხამიანი გველი და იმისი თავის ჩადება პირში დაუპირებია, მაგრამ ამ დროს გველს ტუჩზედ შიგნიდგან უკბენია. კაცს საშინლად შეუყვირნია და მაშინვე გაჯავრებულს გველის თავი ტანისთვის მოუგლეჯია. მოგლეჯილი თავი ნაკბენს ადგილას მიუტანია და ზედ რამდენჯერმე მოუსვამს. თავიდგან რაღაც სითხე გამოდიოდა და ბოიარინოვი ნაკბენს ადგილს ამ სითხეს უსვამდა თურმე. გველის მოგლეჯილს თავს ახლა ენაზედ უკბენია. ბოიარინოვს ნაკბენი ადგილი მაშინვე საშინლად დაჰსივებია. უბედური მეორე დღეს საშინელის წვალებისა და ტანჯვის შემდეგ გარდაცვლილა.

* * *

როგორც ერთი ჟურნალი იუწყება, ამერიკელ მოგზაურს სიულივანს ამერიკაში ქონდრის კაცები აღმოუჩენია. დღემდის ამ ქონდრის კაცების არსებობა არავინ უწყოდა თურმე. აქამდის ეგონათ, რომ ტანით ყველაზედ პატარა კაცები აფრიკაში სცხოვრობენო, მაგრამ, როგორც ეხლა სჩანს, ამერიკელი ქონდრის კაცები სიპატარავით აფრიკელებს არ ჩამოუვარდებიან თურმე. როგორც სიულივანს გამოუკვლევია, ეს ქონდრის კაცები ინდოელთა რასსას ეკუთვნიან. იმის გარდა, რომ პატარა ტანი ჰქონიათ, ეს ქონდრის კაცები შესახედაობით მეტად მახინჯნი რამ ყოფილან თურმე. ძნელად მოიპოვება ამაზედ მახინჯი ხალხი სხვაგან სადმე მთელ დედამიწის ზურგზედაო, უთქვამს სიულივანს. სიმახინჯით ქალები და კაცები ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიანო. სცხოვრობს თურმე ამ ქონდრის კაცების ტომი მდინარე ორინოკოს სათავის მახლობლად, ერთს მივარდნილს და მიუვალს ადგილში ბრაზილიის იმპერიის საზღვართან.

* * *

როგორც ერთი გაზეთი მოგვითხრობს, წავის გაშინაურებაც შეიძლება თურმე. გაშინაურებული წავი ჰყოლია ერთს სოფლელს ესპახელს. წავი ამ სოფლელს სულ პატარაობისას მოუყვანია. ნადირობის დროს დედა მოუკლავს და შვილი, რომელსაც სიარული ჯერ არც-კი შეეძლო თურმე, ტომრით წამოუღია შინ. წავი უთუოდ შიმშილით მოკვდებოდა, რომ ამ დროს შინაურ ძაღლს ლეკვები არ დაეყარა და თავისს ლეკვებთან ერთად წავიც არ გაეზარდა. ძაღლი მეტად გულ-კეთილი ცხოველი გამოდგა თურმე: წავსაც ისევე აწოვებდა ძუძუს და საზოგადოდ სიყვარულით უვლიდა, როგორც თავისს ლეკვებს. წავიც მალე შესჩვევია ძაღლს: მუდამ ლეკვებთან იყო, იმათთან ერთად თამაშობდა და დროს ატარებდა. თავისს აღმზრდელის სიყვარული მაშინაც არ დაუვიწყნია, როდესაც გაზრდილა. პატრონიც ძალიან ჰყვარებია თურმე ამ წავს. ხშირად კარგი, ერთგული ძაღლივით თან დასდევდა და ელაქუცებოდა ხოლმე. ნადირობის დროსაც ძაღლებთან ერთად ხშირად დაჰყვანდა ხოლმე ტყეში სოფლელს. ეზოში ღრმა აუზი გაუმართავს თურმე, რომელშიაც წავი ხშირად ბანაობდა, ცურაობდა და ყურჭუმელაობდა. საჭმელად, როდესაც ძუძუს თავი გაანება, თევზის მეტს არაფერს ხმარობდა. ამ რიგად ექვსი წელიწადი უცხოვრია წავს სოფელში. გაქცევა და განადირება ერთხელაც-კი არ დაუპირებია.

## წერილები გრ. ორბელიანისა.

№ 5. „ჩემო საყუარელო სვიმონ! დღეს შენი ბელაქნელები თავის ჰაჯიმურთუზით იყვნენ ჩემთან და იმათ მომიტანესცა შენი წერილი. ვხედავ, რომ ძალიან შეშინებულნი არიან ურუსისჯაროდ, მაგრამ რა უყო, რომ მეტი ილაჯი არ არის! მეც რაც შემეძლო ბევრი თანხები მივეც შემწეობისათვის, და შენც გთხოვ მალ-მალ წიგნს მისწერდე; ძალიან უყუარს ამ ხალხს წიგნი, და დიდი გულიც მიეცემათ ხოლმე. ამათ მითხრეს, მითომ ყარაალი და ბაკრაკი აპირებდნენ ბელაქანზედ მოსვლასა; ბეჯითად იყავ, ჩემო სვიმონ, რომ ეს სოფელი, ჩვენი ერთგული და კარგი ხალხი არ წახდეს. არ ვიცი, იქნება ეს ამბავიც სწორე არ იყოს, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს. არ ვიცი მოგწერე თუ არა, რომ აქაური ხალხი გავგზავნე въ горный магаль; რვა კაცი დაახრჩეს ყაჩაღთაგანი სამურის წყალში, შვიდი მოკლეს და 6 მოიყვანეს ტყვედ, რომელთა შორის არის ერთი ჰაჯი, დიახ დიდი მეგობარი დანიელ სულთნისა და 27 ცხენი. ღ~თი იყოს შენი მფარველი.

შენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი

10 აგვისტო, 1851, ზაქათალით.

№ 6. პირველი წერილი, წინად დაბეჭდილი „ივერიაში“.

### გამოსადეგი ცნობა

კისაც თმა ჩამოსდის, იმას შემდეგის საშუალების ხმარებას უჩვევენ: აიღოს ხარის ძვლის ტვინი $16^1/_2$ მისხალი, გენაგერჩაკის ზეთი $6^1/_2$ მისხ., ტანინი $^1/_2$ მისხ., სურნელოვანი ზეთი 1—10 ცვარი, ყველა ეს ერთად შეჰზილოს და პომადასავით იხმაროს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 სექტემბერი

**კილი.** 9 სექტემბერს საღამოს მეფის სასახლეში სადილი გამართა, რომელზედაც დაესწრნენ რუსეთის იმპერატორი და იმპერატრიცა, პრინცის ჰენრიხის მეუღლე და მხლებელნი.

**პარიჟი.** მთავარ შტაბის უფროსი გენერალი ბრო გარდაიცვალა.

ბერანჟემ განაგრძო იმ საბუთის ქაღალდების განხილვა, რომელნიც უზენაეს სასამართლოს გარდაეცა; ჰფიქრობენ, რომ ის ხვალ გაათავებს შრომას.

**ალჟირი,** რეჟიმ ღამით დასტოვა სასტუმრო „Antijuive“ და სადღაც წავიდა. რვა მისი ამხანაგი შეიპყრეს.

**ალჟირი.** ჰფიქრობენ, რეჟი ალჟირის ახლო მახლო არის დამალულიო. ბრძანება მისის შეპყრობის შესახებ დაეგზავნა ყველა ალჟირელ პროკურორებს.

**პარიჟი.** დრეიფუსმა „ფიგაროს“ კორესპოდენტს, რომელმაც მას კარპანტრაში გაჰყვა, უამბო ის ტანჯვა-წვალება, რომელიც მან ეშმაკის კუნძულზედ გამოიარა. დრეიფუსი მერსიეს ბოროტ და უპატიოსნო კაცადა რაცხს, ხოლო ესტერგაზის—გაიძვერად. ამას გარდა მან სთქვა, რენის სასამართლოს განაჩენმა გამანცვიფრაო. ეს განაჩენი მე სალი გონების წინააღმდეგად მომეჩვენაო. საზღვარ-გარეთ არ წავალ, არამედ კარპანტრაში დავრჩები მანამ, ვიდრე არ გამოვმთელდებიო. მან ერთხელ კიდევ განაცხადა, მე უდანაშაულო ვარ, იდეის მსხვერპლი შევიქენი და მხნედ ვეცდები ჩემს გამართლებასაო.

11 სექტემბერი

**სევასტოპოლი.** „ყირიმის უწყებს“ ატყობინებენ, რომ სამხრეთ ყირიმში კოკის პირული წვიმა მოსულა, რომელსაც ზღვაში ჩაუტანია რამდენიმე კაცი და მრავალი პირუტყვი; დაუზიანებია შენობები, წაულეკია ვენახები და ბაღები და აგრეთვე გზები. ზარალი მილიონზედ მეტია.

**კარპანტრა.** ქ-ნი დრეიფუსი მოვიდა საღამოთი; შვილები ხვალ მოვლენ. დრეიფუსმა დილით ინსტიტუტის წევრი გრიმო მიიღო.

**პარიჟი.** მელინი ვერაფერს გაჰხდა მევორბრებთან მოლაპარაკებით პალატის მოწვევის საჭიროების შესახებ.

უზენაესის სასამართლოს კომისიამ ნაფიცი ფოტოგრაფი მოიწვია შეთქმულობის შესახების საბუთის ქაღალდების გადასახედავად.

**ლონდონი.** მთავრობამ ტრანსვაალს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც წინააღმდეგობას აცხადებს იმისას, ვითომ ბრიტანიის აგენტებს ვერაგობა ჩაედინოთ. დეპეშაში გამოთქმულია მწუხარება ბრიტანიის მთავრობის წინადადების უარ-ყოფის გამო. შემდეგ დეპეშა იუწყება, რომ ბრიტანიის მთავრობა ახლა შეუდგება საკუთარ წინადადებათა წარდგენას საქმის გარდასაწყვეტად. ამასთან „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ წინადადებით განიხილავს კაბინეტის საბჭო, რომლის სხდომა მომავალ კვირაში მოხდება. ოფიციალურ წრეებში ამბობენ, დღევანდელ ყოფაქცევას ტრანსვაალისას ვერ მოითმენს მთავრობაო, მაგრამ მიწერ-მოწერას მაინც მოელიან.

**კილი.** მათი უდიდებულესობანი და დიდი მთავრინები საღამოს 9 საათზედ დარმშტადში გაემგზავრნენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „ცნ. ფურცელში“ 3 სექტ. დაბეჭდილია შემდეგი: „რედაქციისაგან, მიქელ-გაბრიელში, სეფის პირელს: თქვენი წერილი, რომელშიაც მადლობას უცხადებთ, ვერ დაიბეჭდება, რადგანაც ცოტა არ იყოს, სრულებით უალაგო და უსაფუძვლოა მადლობის გადახდა ერთი პირისაგან და ისიც ფსევდონიმით“.

„სეფისპირელის“ ფსევდონიმით წერილები იბეჭდებოდა „ივერია“-ში. ნამდვილს „სეფისპირელს“ „ცნ. ფურცლის“ რედაქციასთან არ ჰქონებია და არ აქვს არავითარი სამწერლო დამოკიდებულება, არა დროს იქ წერილი არ გამიგზავნია და არც გავგზავნი. შეიძლება ამ ფსევდონიმს სხვა ვინმე წაეპოტინა, ან ჩემდა შურის საძიებლად იყოს ვისმესგან შეხანხლილი. მაინც და მაინც ვაცხადებ, რომ ამიერიდგან რაც უნდა დაიბეჭდოს ამ ფსევდონიმით „ცნ. ფურცელში“, მე პასუხს არ ვაგებ, რადგანაც ჩემი არ იქნება.

ადრინდელი ვ. სეფისპირელი

## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 სექტემბრისათვის 1899 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 7924 | 53 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . | 1750 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | 17110 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 3099 | 25 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . | 3021 | 63 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს. უწერია ხელი . . . . . . . . . . | 223503 | 08 |
| VII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 375 | — |
| VIII. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 6591—87 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 14009—20 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . 26559—50 | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 5020—15 | 52180 | 72 |
| IX. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . | 173 | 62 |
| X. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . . | 1315 | 94 |
| XI. კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) . . | 1212 | — |
| XII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 226 | 44 |
| XIII. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | 277 | 04 |
| XIV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . | 277 | 59 |
| XV. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . | 7189 | 45 |
| ს უ ლ | 319636 | 29 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 752 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . . | 78711 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 3141 | 16 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა . . . . . . . . . . . . | 16 | 16 |
| IV. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 75455—45 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . 144892—— | | |
| გ) უვადოდ . . . . . . . . . —— | 220347 | 45 |
| V. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . | 1775 | 48 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 1376 | 34 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . . . | 3 | 91 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . . . . . | 300 | — |
| IX. მიღებული სარგებელი. . . . . . . . . . | 11988 | 38 |
| X. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი . . . . . | 1935 | 70 |
| XI. 1898 წლის წმინდა მოგების გაუნაწილებელი ნაშთი. | 40 | 71 |
| ს უ ლ | 319636 | 29 |
| პასუხის-მგებლობა 752 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 708399 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . . . . | 2400 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | 1819 | 40 |

(1—6.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—$5^1/_2$%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსი თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—$9^1/_2$%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანცებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—$7^1/_2$%, თამასუქების გირაოზედ—$9^1/_2$%-ს

Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.